ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 433

"23" სექტემბერი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი №35-ში (საკადასტრო კოდი: №01.14.16.008.017.02.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების, „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის №419 განკარგულების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი №35-ში (საკადასტრო კოდი: №01.14.16.008.017.02.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 17 სექტემბრის №25.1521.1745 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, IV მიკრო/რაიონში, კორპუს №35-ში პირველ სართულზე (შენობა №2) თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართით 48,44 კვ.მ-ის (საკადასტრო კოდი: №01.14.16.008.017.02.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, ლელა ბაკაშვილისთვის (პ/ნ. 40001002818) სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, ამავე განკარგულებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობით, *პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებაზე,* ამავე განკარგულების დანართით გათვალისწინებული ხელშეკრულების შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე